

ორშაბათს, 11 ივნისს, საღამოს 6 საათზე
სახელმწიფო ოპერის შენობაში დინამურად
ტფილისის საზოგადოებრივი სასტუმროს
ქარხნების, ფაბრიკების და ადგილობრივების წევრების მონაწილეობით.
დღის წესრიგი:
მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელია ანტ. მამია ორა-
ხელაშვილი.
დასწრება ყველა საბჭოს წევრთათვის საავტოროდ.
ალმასკომის პრეზიდენტი
№ 368—3—1

ს. მ. უ. ს.
თ ა მ გ ა ქ ო ს
ტრესტის
პრეზიდენტის
№ 20
ტრესტის ნაწარმოებზე ფასები დაკლებულია
20 პროცენტად.
5 ივნისის 1913 წ.

პაპროსების დასახელება (ჩერვონეცებში)	ფასი
გაბიერება (გოლოვანები)	
ინგლისური „სოფელსკი“ 1-ლი ქარხნის	1,0
სოლიდნი	0,9
სოფელსკი 2-ე ქარხნის	
ხან-კეფი	
ეგაპეტსკი	
დელოკატესი	0,7
სოფელსკი 3 და 4 ქ-ის	
ირისი	
№ 105	0,66
(ქალაქური შენობები)	
ეგაპეტსკი	
დელოკატესი	0,66
ბუკეტ	
ექსტრა	
დარიალი	0,45
როსკოვი	
მარსი 2-ე ქარხნისა	0,38
ვეფლად	
ზარია	
მარსი 4-ე ქარხნისა	0,35
№ 5, მე-5 ქარხნ.	
თ ა მ გ ა ქ ო ს	
უმ. ხარ. სლონ.	0,22 ჩერვ.
№ 52 საფაროვის, კეფ. და ყირიმის, კომეტა, გადარჩეული მირ.	0,21 „
სამსონი — ბოზარჩიანცი	0,18 „
№ 52 სელიანოვი, № 120 ენფანჯიანცი, № 108 საფაროვი,	
შირაქი, კომეტა და საერო ბოზარჩიანცი	0,15 „
სახალხო — სელიანოვი, საფაროვი და კომეტა, საგანგებო — ბო-	
ზარჩიანცი, სასუნ. მირ. და შირაქი — ენფანჯიანცისა	0,12 „
წუმწუმა — 100 კოლოფი	1,5 „
გილზები — 40 კოლოფი	1,15 „
შენიშვნა: 1. თუ შეკვეთილი იქნება არა ნაკლებ 150 ცალი პაპროსისა და 150 გირ. ყველა ხარისხის თეთუნისა იმ შემთხვევაში ერთი პროცენტით ნაკლებ ფასებში მიეცემა.	
2. ყოველ ათასეულ პაპროსზე სათანაოდ ეძლევათ თითო გირვანცა 2 ან 3 ხარისხის თამბაქო.	
ფასები თამბაქოს ყველა ნაწარმოებზე, დღეიდან დაკლებულია 20 პროც.-დ.	
1—1	

სალიტერატურული
ტრიბუნა
პოეზია
მხატვრობა
ქანდაკება
ესთეტიკა
კრიტიკა
ყოველ-კვირული სურათებიანი დამატება გაზ. „ტრიბუნისა“.
გამოვა მოკლე დროში. მასალები უნდა გამოგზავნოს „ტრიბუნის“ მისამართით.

გვიან გაიგეს.

კაპიტალისტური ევროპის სახელმწიფოები თანდათან ურიგდებიან საბჭოთა რუსეთთან ეკონომიურ თანამშრომლობის აზრს. რაპალის ხელშეკრულება პირველი აქტი იყო, რომელიც ბურჟუაზიულ ევროპის ფარული ნდობის ოფიციალური გამოხატულება შეიძლება ჩაითვალოს. დიდი ბრიტანეთიც კარგა ხანია შესულია საბჭოთა მთავრობასთან სავაჭრო კონტაქტში. ამ რიგის შეერთებული შტატები ხომ იმთავითვე იდგან რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის განმტკიცების ნიადაგზე. ასევე ითქმის თითქმის ყველა წვრილ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებზე. პოლიტიკურად დაპირისპირებული იტალია და პოლონეთი დღესაც განაგრძობს საბჭოთა ფედერაციის ტერიტორიაში სავაჭრო უფლებების დაცვას. ევროპა სცილობს საბჭოთა რუსეთთან აღმ-მხრეთის ქსელის გაბმას. ევროპის კაპიტალისტები სცილობენ რუსეთი შემოსონ თავის ფაბრიკატებით. ცხადია, რუსეთისაკენ ევროპის ბურჟუაზიას არ მიაქვანება ალტრუსტული და პაციფისტური გრძნობები. ნედლი მასალის სამეფო — საბჭოთა რუსეთი წარმოადგენს ევროპის ინდუსტრიისათვის აუცილებელ საჭიროებას.

საფრანგეთი განსაკუთრებულ სიჯიუტეს იჩენდა საბჭოთა რუსეთის მიმართ. პოლიტიკურად საწინააღმდეგოდ განწყობილი პუანკარეს კაბინეტი სცილობდა საბჭოთა რუსეთთან გაწყვეტას ეკონომიური კავშირის. მართლაც, ჩვენ ვხედავდით საფრანგეთის იმპერიალისტურ სულისკვეთების დიამეტრალად დაპირისპირებას საბჭოთა ფედერაციასთან როგორც პოლიტიკურ მოსაზრებით, ისე ეკონომიურ თვალსაზრისით. რუსეთ-საფრანგეთის კიბილი ეკონომიურ კითხვებში კარგა ხანს გაგრძელდა. ჩვენთვის იმთავითვე აშკარა იყო ამ კიბილში საფრანგეთის დამარცხება. საფრანგეთს ხელს არ უწყობდა ეკონომიური ინტერესები საბჭოთა რუსეთთან ბრძოლაში. მართალია, ბურჟუაზიული საფრანგეთი რუსეთთან შედარებით მდიდარი სახელმწიფოა ფაბრიკა-ქარხნებით, გაუმჯობესებულ საწარმოო იარაღებით. საფრანგეთის „სამრეწველო ტენიკა“ დიდით არც გერმანიის და არც ინგლისის „საინდუსტრიო ხელოვნებას“ ჩამოუარდება. საფრანგეთთან შედარებით საბჭოთა ქვეყანა ჯერ კიდევ პრიმიტიული ქვეყანაა. ამიტომ რუსეთის ბუნებრივი სიმდიდრე ნედლი მასალის სახით უმთავრესად საზღვარ-გარეშე იზიდებოდა. საფრანგეთის იმპერიალისტური მთავრობა სცდებოდა, როდესაც რუსეთის ევროპისაკენ დამოუკიდებლად არსებობის შეუძლებლობას ხედავდა. მაგრამ მოხდა სასწრაფო საწინააღმდეგო ამბავი: რუსეთმა შესძლო უეცროდ ცხოვრება, ევროპა კი დიდს ვიწრობაში ჩავარდა. ფაბრიკა-ქარხნები, აუარებელი მუშა ხელები უმოქმედობაშია. წარმოების შემდეგი გაგრძელება ნედლი მასალით უზრუნველყოფითაა უმთავრესად შესაძლებელი. რუსეთთან ეკონომიური კავშირის გაწყვეტა ამ შემთხვევაში უსათუოდ საბედნიერო მოვლენა იქნებოდა ევროპის კაპიტალისტებისათვის. ამას მოყვებოდა არა მარტო ეკონომიური ხასიათის უარყოფითი შედეგები, არამედ პოლიტიკური შინაარსის „სამწუხარო“ ფაქტები. მუშა ხელი სამუშაოს და ხელფასს მოითხოვს. ამისათვის საჭიროა წარმოების განვითარება. ნედლი მასალა საამისო ძირითადი პირობაა. საბჭოთა რუსეთის მოშველიების საჭიროებას გრძნობდა ევროპის ფინანსური არისტო-

კრატია. ინგლისის მაგალითი სანიმუშო გავრცეილად დარჩება კაპიტალისტური ევროპის ცხოვრებაში. ბრიტანეთის მთავრობამ სცადა ეკონომიური ბლოკადის გახანგრძლივება. საქვეყნოდ ცნობილი შედეგი იქნა მიღებული: ინგლის მრეწველობის განვითარების საქმე სერიოზულ საფრთხეში ჩავარდა. წარმოების ტემპი თანდათან ნელდებოდა. ინგლისის ბურჟუაზიის „მომავალი“ შავ სუღარაში იხვეოდა. ლოიდ ჯორჯი დამარცხდა სასტიკად. იგი იძულებული შეიქნა საბჭოთა მთავრობასთან მშვიდობიან პანგებზე დაეწყო ლაპარაკი, მოეხსნა ბლოკადა.

საფრანგეთისათვის ყოველივე ეს არ წარმოადგენდა საიდუმლოებას. მაგრამ „რეაქციის მეთაურობა“ მას საბჭოთა ქვეყანასთან ყოველივე კავშირის გაწყვეტას უკარნახებდა. ეკონომიურ-რეალ ინტერესებმა მაინც თავისი გაიტანა. არხიმიერიალისტური საფრანგეთიც იძულებული შეიქნა კომუნისტურ რუსეთთან ეკონომიურ ურთიერთობის რკალში შესულიყო.

მოსკოვში უკვე ჩამოვიდა საფრანგეთის საგარეო დელეგაცია მისი მიზანი და გეგმები ფართო შინაარსისა. როგორც თვით დელეგაციის მეთაურები აცხადებენ, ამერიკიდან უნდა დაიწყოს საფრანგეთ-რუსეთ შორის „მეგობრული“ ურთიერთობა. მათთვის აშკარაა: ევროპის ეკონომიური კრიზისი შეუძლებელია დაძლეულ იქნას საბჭოთა რუსეთის სამეურნეო ბადეში სათრევის გარეშე. ისინი საფრანგეთის ფინანსისტების სახელით აცხადებენ: ჩვენ მიერ მიღებულია ყოველივე ზომა საბჭოთა რუსეთის ოფიციალურად ცნობისათვის. შექველია სრულიად ახალი ურთიერთობის შესაძლებლობა იხსნება რეაქციისა და რევოლუციის ქვეყნებს შუა. ეკონომიურ თანამშრომლობას პოლიტიკური „თანამშრომლობა“ მოყვება ადრე თუ გვიან. საგარეო დელეგაცია გაზაფხულის პირველი მერცხალია. ევ პირველი ნაბიჯია, საფრანგეთის ბურჟუაზიულ მთავრობის მიერ გადადგმული. რეალ ინტერესების ლოლიკა უძლიერესია კერძო ზრახვების ლოლიკაზე. საფრანგეთის მშრომელი ხალხისათვის აუცილებელია საბჭოთა რუსეთთან დაახლოება. ვერც პუანკარეს იმპერიალისტური ნებისყოფა, ვერც ბურჟუაზიის სულისკვეთება ვერ შესძლებს ეკონომიურ აუცილებლობის შედეგების თავიდან აცილებას.

საფრანგეთის მებრძოლი იმპერიალისტური პოლიტიკა უსათუოდ მარცხით დასრულდება საბჭოთა რუსეთის მუშებსა და გლეხებთან მებრძოლებაში.

შეცდომის გასწორება გუშინდელ მეთაურში, სხვათა შორის, შემდეგი შეცდომა დაშვებული: სწერია: „სოფლის ნაწარმოებს ბოზარი აქვს და გლეხის შრომა მინიმალად კი არ ფასდება ხშირად“. უნდა იყოს: „სოფლის ნაწარმოებს ბოზარი არ აქვს“ და სხ.

პროსა

ამხ. სტეკლოვი „იზვესტიამი“ წერილში „იმპერიალისტური ფრონტის გარღვევა“ სწერს: „ხანგრძლივი პერიოდისათვის ჩვენს წინააღმდეგ ერთიანი იმპერიალისტური ფრონტის შექმნის საფრთხე ჯერ არ გამოქრალა. მაგრამ იმპერიალისტურ ბანაკში საბჭოთა რესპუბლიკის მიმართ მუშაობენ ცენტრისტობის და ცენტრალისტობის ძალები. ამ უამარ, როგორც სიანს, იმარჯვებენ ცენტრალისტობის ძალები თავისი წარმომადგენელის გაწვევით. იტალიის სურს დაგვანახვოს, რომ კერზონის პოლიტიკა რუსეთის მიმართ ვერ პოულობს თანაგრძნობას იტალიაში. ასევე იტყვება საფრანგეთის საფარო მისია, რომელიც, ექვს გარეშეა, რუსეთშიწამოვდება საფრანგეთის მთავრობის თანხმობით. ამას გარდა აღსანიშნავია პოლონეთის ახალი პრემიერის გამოსვლა, რომელსაც საქმიანი ხასიათი ჰქონდა. ვიტოშის დეკლარაცია, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ მომენტს, როცა ის წარმოთქმეს, არ შეიძლება იქნას გაგებული, როგორც ბრიტანეთის იმპერიალიზმის პოზიციის გამაგრება. ჩვენ სრულიად არ ვართ განწყობილი ოპოზიციონერად და მდგომარეობა ჯერ-ჯერობით სერიოზულად მიგვაჩნია. მაგრამ უკანასკნელი პოლიტიკური ფაქტების მიხედვით ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ: თუ ლორდ კერზონი ფიქრობს ჩვენს წინააღმდეგ ერთიანი იმპერიალისტური კოალიციის შექმნას, ის იძულებული იქნება, ახლო ხანისთვის მინც, აღიაროს თავისი შეცდომა.“

გაზეთ „პრავდაში“ მოთავსებულია ამხ. პრეობრაჟენსკის წერილი, რომელშიც ის ეხება

ბა რუსეთ-ინგლისის კონფლიქტს. ამხ. პრეობრაჟენსკი ამის შესახებ სწერს: „რუსეთ-ინგლისის საფარო ურთიერთობა ჯერ-ჯერობით განვიტარებთ დაწყებითი პერიოდში იმყოფება. ეს ურთიერთობა ჯერ იმდენად არ მომწიფებულა და არ განმტკიცებულა, რომ გააქარწყლოს კერზონის მომხრე ელემენტების გავლენა ინგლისის ბურჟუაზიაში. მაგრამ ეს აუცილებელი შეიქნება მომავალში.“

ამ აზრს ამხ. პრეობრაჟენსკი ასაბუთებს ფაქტებით:

„ჩვენ დავიწყეთ ჩვენი პურის ექსპორტი, ეს ექსპორტი თანდათანობით უფრო გაიღრმავება. ჩვენი პური ბევრათ იაფი ღირს, ვიდრე ამერიკული.“

ამხ. პრეობრაჟენსკი განაგრძობს.

„კერზონის პოლიტიკა ინგლისის ბურჟუაზიის სამეურნეო ინტერესების თვალსაზრისით მეტად უგუნური და უაზროა. მაგრამ ინგლისის პოლიტიკა თავისი ობიექტური შედეგებით, ფაქტურათ არის ამერიკის პოლიტიკა, კერზონი მხოლოდ ნიუ-იორკის ნოქარია. კერზონის პოლიტიკა სასტიკ წინააღმდეგობაშია ინგლისის ხვალისდელი დღის საერთაშორისო პოლიტიკასთან. ეს პოლიტიკა სასტიკად ეწინააღმდეგება ინგლისის კაპიტალის სასიცოცხლო ინტერესებს, რადგან ეს უკანასკნელი მეტად დახმარებულია რუსეთის ნედლი მასალით.“

ამიტომ ჩვენ. დამზიდებით შეგვიძლია უტყირით მომავალს და არ წავიდეთ დათმობებზე. კერზონის პოლიტიკას ედება ბოლო.“

ველეზული ინტერესით ადევნებს თვალყურს მოლაპარაკებას. მისი წარმატება იქნება დიდი ნაბიჯი რუსეთთან ურთიერთობის განახლების საქმეში.

დიფერეცე დარწმუნებულია მოლაპარაკების სასურველად დამთავრებაში. გედა სთქვა. „დღევანდელს მხარს უჭერენ საფრანგეთის დიდი ფინანსისტები და მთელი რიგი ბანკებისა. ისინი იღებენ ყოველ ზომებს, იმისათვის, რათა-ნაბჭოთა რუსეთის ცნობა სულ ახლო მომავალში მოხდეს. დღევანდელი გამოსტეგის გაკვირვებას იმ კულტურულ-უფლებრივ წესრიგის გამო, რომელიც მათ მოყვა საბჭოთა რუსეთში და იმის გამო, რომ რუსეთში ჩაქარა გამოცოცხლდა სამეურნეო ცხოვრება საკუთარი ძალებით, მიუხედავად განვლილ სამოქალაქო ომისა, ინტერვენციისა და ბლოკადისა.“

გაზეთ „მანჩესტერ გარდიანი“ სწერს: „კერზონის წინადადება რუსეთში დიდი აღიარება გამოიწვია, ვინაიდან იქ ფიქრობენ, რომ ეს ნოტა

მომასწავებელია რუსეთში თავდასხმის. ესაა გამოვლი იტალიის წარმომადგენლის აქტიურობის შემდეგ, კერზონი იტალიისკენ დაბრუნდა. ვერ მიიღეს. საფრანგეთი კარგის რუსეთში გაქრო წარმომადგენელს. ისეთი მდგომარეობისათვის ხელსაყრელი არ არის.“

სკანდინავიის გაზეთებში გადმოგვცემულია დიდი-ჯორჯის წერილები, რომლებიც მიმართულა საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების შეწყვეტის წინააღმდეგ.

გაზეთ „ტარნტოს“ ცნობით ბალდვინ მთავრობას განზრახული აქვს არ გაუწიოს პუანკარის პოლიტიკის ისეთი ანგარიში, როგორსაც უწევდა ბონარ-ლოუ საფრანგეთის მთავრობის მიხედვით. გადმოგვცემს ინგლისის წინააღმდეგ გაუწევს, თუ გერმანიის წინააღმდეგ მისი იქნება. გავრცელდა ხმა, რომ ბალდვინი პარიზში გაემგზავრება პუანკარეს სანახაუთ.

ახალი ამბები

— **საბურთალო.** უკვე შეუდგნენ საბურთალოს ქაოხების გაშრობას. საბურთალოში მალაჩიით ავადმყოფთა რიცხვი ამიტომ უკვე შემცირდა.

— **ვერის ბორანი.** ქალაქის აღმასკომის დადგენილების თანახმად უკვე შეუდგნენ ვერის ბორანის აღდგენას. ბორანზე მუშაობა დასრულდება 21 დღეში.

— **ავლაბრის ხიდი.** მომავალ კვირიდან შეუდგნენ ავლაბრის პირველ ხიდის შეკეთებას.

— **შრომის ბირჟაში.** გამოცხადდა 526 უმუშევარი: 370 მამაკაცი, დანარჩენი კი ქალი. ახლად ჩაეწერა 133 უმუშევარი: მამაკაცი 105, ქალი 28. მოთხოვნილება იყო 69. აღდგენილია უფლებად 2, — **სიტყვები.** ტბილისში ბოლო ხანებში საშინელად აცხელდა. იყო შემთხვევები ქუჩებში მზისაგან დაშვებისა.

— **წითელ არმიელების უნივერსიტეტი.** კასიის ცალკე არმიის უნივერსიტეტი გარდაქმნილია სამხედრო-პოლიტიკურ სასწავლებლო. მსგელთა შორის 120 კომუნისტია.

— **საარქივო მახალგები.** საარქივო საქმე მთავარ სამმართველოში მიმართა აღმასკომს თხანით, რათა ზუბალაშვილის სახელობის თავმჯდომარე შენახულ ტფილისის ქალაქის ყოფილ ლეაწევის და სხვა საარქივო მასალების გადამის შესახებ. აღმასკომში უარი შეუთვალა საარქივო სამმართველოს და დაადგინა აღნიშნული ცულ იქნას ქალაქის მუზეუმში.

— **ვენატე ნინოშვილის ძეგლის გახსნა.** ნატე ნინოშვილის ძეგლის გახსნა დაინშნულია რას 10 ივნისისათვის.

საფრანგეთის დელეგაციის ჩასვლა მოსკოვში.

მოსკოვი. 4 მაისი. მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის საფარო დელეგაცია, რომელშიაც შედიან: პარიზის ბირჟის სახელმწიფოს ოფიციალური წარმომადგენელი დიუგუგე, ცნობილ სოციალისტის გელის შვილი, დიდი საეკონომიკო კამპანიის კონსულტატი ნიბი. რუსეთის დეპუტატი სააგენტოს კორესპოდენტთან საუბრის დროს დელეგაციის მეთაურმა დიუგუგემ განაცხადა: „ურყევლმა ლოლიკამ დაარწმუნა საფრანგეთის ხალხი, რომ ევროპის

ეკონომიური კრიზისი იქნება დაძლეული და ევროპის წინასწარობა აღდგენილი მაშინ, როდესაც დიდი რუსეთი ხელახლა მიიღებსწინაწილებას მსოფლიო ეკონომიურ ცხოვრებაში, დელეგაცია წარმოგზავნეს საფრანგეთის მრეწველებმა და ფინანსისტებმა, რომელთაც დაარსეს „საფარო-სამრეწველო წარმოებათა საფრანგეთ-რუსეთის გენერალური საზოგადოება“. დელეგაცია შეუდგა მოლაპარაკების საბჭოთა მთავრობის წევრთან დაქამ დელეგაციის აქვს ფართო რწმუნებანი ფრიად მნიშვნელოვან ხელშეკრულებათა დასადებათ. საფრანგეთი გაცხო-

თავარ გუვის გეგმები

(გაგრძელება)

გ. შოთა—ინგილოური გლოსები.

ბევრია სიტყვები, რომელსაც ხმარობს შოთა და რომელიც დღევანდლამდე. როგორც ვთქვით, ხმარებაშია მარტო ინგილოური კილოში. აღნიშნავ რამდენიმეს.

თუ. შოთა სწერს (ხანა 946): „სიცოცხლესა ეტყვის თუსა.“

რია ეს თუ? ივია მარტო საინგილოში დაშთენილი თუ, რომელიც უდრის დედა-ენის სიტყვას ფუ ფუ.

მაშასადამე, ინგილოური შემწვობით შოთას თქმა უნდა გვესმოდეს ასე: „სიცოცხლესა ეტყვის ფუ-სა.“

გურამიშვილის ფრაზას (გვ. 32): „ფუ. შენ ჩემო ლეაწეობილო“ ინგილო იტყვის: „თუ შენ ჩემო მილო“ (ბილ ინგ. ლეაწეობი). შოთა „თუ“—სთან ერთად ხმარობს ფუ-საც (ხ. 890): „ფუ მაგა მამაცობასა“, მაგრამ მის შესახებ იხ. ქვემო „სილა-ში“ „სა-ს“ დაბოლოებაში.

შად. შოთა 359: „შადი! ეუთხარ (სტუმრებს), ნუ აღდგებიო“

ინგ. შადავარ, შად-ხარ, შადი (მხიარულია). შადობა მხიარულობა. „შადობას ქენით“ (იმხიარულეთ) შად-კაც, მხიარული კაცი.

ეს სიტყვა ჩვენ განემარტეთ 1912 წ. (სახ. გზ. № 641): „შადი!“ (იმხიარულეთ!).

ლამი. შოთა 1085: (ცრელთა ლამით, 865: 1138, საბა: „ლამი შავი ლია“. ინგ. ლამი „შლამი, სილა“. დლაბა, შლამით ამოავსო; დალიამა, შლამით ამოივსო. დლაბინება, შლამით ამოვსებინება. დლაბული ანუ დანალამი, შლამით ამოვსებული. ლამიანი შლა-მანი შეად. ვისრ. 171: ლამიანი გზანი, 133: ლამიანი ბერანგი. გურამიშ. 60: მაყარონ მე მიწა, ლამი.

რათა. ხ. 1271: ჰედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქნელი! აქ რათა წმინდა ინგილოური და ნიშნავს რაოდენთა, რაოდენიმე. შეად. ერ რათა კაც მოდის. რათა სიტყვის თქო. რათა საქმეს გააკეთა. რათა დღეს გაუღი. რათა ხანია მე მოვლი.

ხან მეორდება. ერ რათა—რათას გაახივა.

სირა. ხ. 864: დამშლიან ჩემნი კავშირნი, შეპრთვიან სულთა სირასა. ამ სირას ვიდრე ჩვენ განმარტოვდით სახ. გაზეთში (№ 641), აბულაძე, კარიკაშვილი სთვლიდნენ ჩიტად. (მე. საქ. ტ. ს. 150) გარნა ჩიტ-კი არა, იგია ინგ. სირა, ჯერი, რიგი, ხედრი.

დლაბა. ხ. 1567: ცრელმან მინდორი დლაბა. თარგმნიან დასველობად მაშინ, როდესაც სი-

ნგილოში დიდ-წვრილიანად ყველამ იცის, რომ იგი ნიშნავს მრავლად მოდენილ წყლისაგან ადგილის ამოკრებას ლამით, სილით, შლამით.

ვაგ. ხში. 132 თინათინი ავთანდილს ალუთქვამს ცოლობას და ავალებს, მანამდე წავიდეს ტარილის მოსაძებნად; გახარებული ავთანდილი ეუბნება (გ. 133): „ვითა მონა სამსახურად გალანასვა წავ, ეწამე“, ე. ი. წავა (ინგ. წავ), ეწამეო, დაიჯერეო. შოთას დამბეჭდველებრივი ორივე სიტყვა ერთად შეუყრიათ და „წავეწამე“ „აკი კიდზე დავეწანჯეო“ აუხსნიათ! და ერთს კი ეს რა-ლა? „წავეწამე“ ჩაუჯდენია განყოფილებაში „ძველი ქართული სიტყვები“. გამოდის, რომ „წავეწამე“ ყოფილა „ძველი ქართული სიტყვა“!

გავიდა. შოთა სწერს (გ. 217): „ცხენსა გარდახდა, მოჰნაბა დიდნი ხენია, მას ზედა (ხეზედ) ჰვებრად გავიდა, ძირსა დაბა ცხენია“.

ცხადია, აქ „გავიდა“-ს შოთა ჰხმარობს დღევანდელ ავიდას—მაგერი: ხეზედ ავიდა. ხოლო საინგილოში ისევ იხმარება შოთასებური გავიდა. ხეზე გავიდა. თი წერზე გაუღა. აყარებ გადის. თაზე გადის.

ფარჩი. 1144: „კვლავ შემსვეს და კვლავ აიურეს სხვა ფარჩი და სხვა ჭიქანი“.

იგივე ფარჩი ანუ სპილენძის პატარა თუნგი საინგილოში იხმარება სადღენდელ ანუ წყლის ჭურჭლად.

მახია. 697; „დანასა მახია“. ჩუბინაშვილის განმარტებით: „დამახეცინა, დანას მიცა დასახელებად“.

როგორც ეს „მახია, ისე მე-4 ხანაში ნახმარი „ხეული“ წარმოდგება ზმნიდან „ხევა“, რომელიც ინგილოურად ნიშნავს გარტყმას, თხლუშას განწონას. „დანასა მახია“, დანას თხლუშა, წამომავალი.

„დაეცას ლახვარი გულსა ხეული“ (გ. 4), ე. ი. დაეცოს ლახვარი გულს განწონილიდან გახეული, თხლუშლი.

გაზირობა. ამ სიტყვას შოთა ხმარობს ხშირად და მუდამ რჩევის მნიშვნელობით, მაგრამ ინგილოურად კი იხმარება ვით ბრძანება, დასაქმება. მიგაზირო—მიბრძანა, სავაზირო—ვისაც უფავირებენ, დასაქმებენ. შოთა 1141: „მოვავირებ (მიჩივებ), წაყალ“. ინგ.: „მიგავირებ (მიბრძანებ, დასაქმებ) წაყალ“.

ზინა. მინდას მაგიერ შოთა ხშირად ხმარობს ფორმებს:

ა) მინა: 170: მომხრედ არეინ მინა 351: რა მინა 578: საქმე მეცა მინა 617: ამის მეტი რად რა მინა 1069: მისი ძენა მინა

საქართველოს ელექტროფიკაცია.

რაქის ჰიდრო-ელექტრონული სადგური.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ წარმოებულ მუშაობათა შორის ყველაზე ღირსშესანიშნავათ შეიძლება ელექტროფიკაცია ჩაითვალოს. მართლაც მდინარის დაუშრეტელ და მუქი ძალის გამოყენებას სარგებლობის თვალსაზრისით ვერაფერი შეეძლება. ამ მიმართულებით გიდადმწვლია სერიოზული ნაბიჯები და რამოდენიმე წლის შემდეგ ჩვენში უნდა დამთავრდეს 4 ჰიდრო-ელექტრონული სადგურის აგება.

1356: ვინცა წინა.	
ბ) გინა=გინდა. 258: რაცა გინა	
გ) გვინა=გვინდა. 1251: ანგარიში	
წერილად გვინა.	
ინგილოურში: ა) მინ, გინ, უნ (ჰუნ)	
ბ) მინდ, გინდ, უნდ (ჰუნდ)	
გ) მინდა, გინდა, უნდა (ჰუნდა)	
მსგან დედა-ქართულში „განა დღეს იხმარება ანუ იმ მნიშვნელობით: „საქართველო გინა ივერია. აქ გინა იგივე შემოკლებული გინდა.“	
ვაშობს. 757: „გაშობს“, ე. ი. ძიხის ვაშას ხოლ.	
ინგილოური ვაშ იგივეა რიც ვიშ.	
ვაშ! რა კაც მოკლდა. ვაშ! ე რაი მოგვივიდა.	
დამახასიათებელია ფორმები	
ინგ.: დავე შოთა დავეჯ ბ. 491	
დაე დავე 1618	
შეთ შეეჯ 405,850	
გავე გავეჯ 1105,1118	
მოვე მოვეჯ 866	
წაი წა 143,366	
მოი მო	

გარა. 1056: დასაწოლად ემა გავიდა ლამით გარა. ეს გარა და ხან გარეგანი ინგილოურში იხმარება ისე, ვით რუსული გარა. „გარეგანი, დასაქარავი!“ ანუ ჩქარ ლაპარაკში: „გარეგანი“, შენ ამოსავარდნელო! ქართულში უნდა ყოფილიყო გარეგანი ვით შიგან შიგანს მაგიერ.

ღადრად. 739: ვითამც რამე სიხარული საქმე მიიხარ ვითა ღადრად. ეს სიტყვა იხმარება ბევრად სხვა წყაროებშიც (ქ. ცხ. 1--129, 142, ხუმბ. ქრ. 67, ქილ. 389, 312, 430). მაგრამ არც ერთგან იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაა ნახმარია შოთაში ან იხმარება დღესაც საინგილოში. „ღადრა“ ჩვენებურად (სინგლურად): ა) გარღვევა, ბ) გახევა, გ) გატანა ანუ გაყვანა თავის ნათქვამისა. აზრისა რადაც გინდა დაუფადეს. სწორეთ ამ მესამე მნიშვნელობით შოთა ხმარობს თავის „ვითა ღადრად“-ს, ე. ი. შენი ნათქვამის გასაყვანად ვითამც რამე სიხარული საქმე მიიხარია.

რესული. 4: ვიხმარე კალმად შინა რესული. ეს სიტყვა ინგილოურ არ არის, მაგრამ მისი ნამდვილი მნიშვნელობა შეიძლება გავიგოთ მხოლოდ ინგილოურის დახმარებით. საქმე ის არის, რომ შოთა სიტყვებს ხშირად ხმარობს საინგილოში დაშთენილ ნორმების

მზავსად, ე—ინი გამოტოვებით ენის (იხ. სახეწა). ამავე კანონის ძალით იგი რომს ფორმას რხეული მაგიერად ფორხეული. ხოლო ძველანდელი ზნა რ (მეგრ. რხულა) ანუ მის მერმენდელი იგობა რღვა (=როყვა) იძლევა ფორმის რული (რღვეული, ინგ. რღვეული), რომელი ნიშნავს პირქმნილს, გაბოძილს, ბზარულ და მინის ასეთი კალამი-კი ექნებოდა პოროდესაც აცხადებდა „მელნად ვიხმარეო“ რის ტბა და კალმად მინა რხეული“ (რული, წვერ-პოზილი).

სახეწა. ეს სახეწა, ვით რხეული, ნარია აგრეთვე ინგილოურ აღრმით სახეწახეწა, სახეწეწი, მოსაწმენდი, მოსახოცია ავთანდილსაც ცრემლი წასდის წამოშა ერთ სახეწა. ე. ი. ერთი რამ მოსაწმენდი სახოცი.

ამ ხანაში ბოლო ტაბიცი შეგებწა და იყოს უფიანოდ, როგორც ინგილოურ შეგებწა=შეგებწა. ამით წყობილიც კმ ხმოვანდება: „...ახეწა.. დაიღწა.. ერთი ხეწა.. შესხეწა.“

მოსაცეთი. შოთა 511. აბულანძით „ლანთი კილომ წმინდა ხალხური ფორმა: მომცადმო, წასაც, გინდაო. ეთ აღნიშნავს ადგილს, სასა—ა ადგილსაც, (სადაც) გინდაო:“ (ძველქარ. ტ. 1, 139).

აქ-კი არის მხოლოდ მოსაცეთი ინგილოაღრმით მოსაცეთი. 511:

ეგრეც მე მაქვს პატრონობა, უფოლ ვლთუნდა გეტისა.

მე მეგრე იქმნების, წა—მომოცადარბა მოსაცეთისა.

მოყამებული. მ. 642: აბულანძით საქ. ტ. 1, 139), „მოყამებული, დიდის ნახვის მოყამებულმან, ამაღი ხნის უნახავ ინგ. მოყამებული, მოდროგებული, დროსული, მოწმეებული. ასეცა შოთაში წადი, ჰნახე შენი მზე, ნახვისა მოყამებულ წყობლობა შოთას მე-3 ხანას წყობილობის ბეჭდ „ვეფხისტყაოსნებში“ და არაშულ ყვების დახმარებით ეს ხანა ასე შესწორდა დაიქტილებში: მარის შესწორებულში

„შემწერისა“ შემწერისა

„გიშერისა“ გიშერისა

„ხშირისა“ შერისა

„შშირისა“ შერისა

მარაი მესამე ხანას „შერისა“ თარგმნის ყვით „В стихах“, მეოთხისას „შერისა“ „მოთხი“. წყობილის შესწორებას „შერებით“ ვიღებთ, მაგრამ მათ თარგმნებს უარ-გყოფთ

როცა მსოფლიო ორბიტაზე ფიქრები დატვირთული და გატაცებული დაიწყებდა სამშობლოზე ფიქრს: როგორი იყო მისი წარსული, როგორი მისი აწმყო და როგორი იქნება მისი მომავალი, ამ ფიქრებში უსათუოდ შეგხვდებოდა ხელში ანთებული ჩირაღდანი და დაუშრეტელ კალმით ჩვენს ძველ მიწებზე დასახლებულ პატრიოტებს და მწერლებს, პატრიოტულ პეტრე მირიანაშვილს და ზაქარია ჭიჭინაძეს.

წარსულ ბევრსა მოწმენი, თანა დროთა არ ამშლენდი.

ეგ პირები მოგვითხრობენ ჩვენს წარსულს, თუ რანი ვიყავით წინათ. სად და რომელ მხარეში არ მიგზავნიდნენ, დროთა ბრუნვის წყალობით, დაკარგულ ძმთა საძებნელად მათი კალამი. სპარსეთი, ოსმალეთი, აზერბეიჯანი, სომხეთი, ოსეთი, საჩხერე და სხვა.

ავიღოთ ბოლო ხანების „ტრიბუნის“ ფურცლები, გადავკითხოთ თვალი მათს წერილებს.

ერთი იცავს როგორც შინა ისე გარე სამეზობლოდ დამყარებულ ავტონომიურ თუ საბჭოთა ფედერაციულ სახელმწიფოთა მიწა-წყალზე მოხდენად რეალურ პარტიკულარებს, კულტურას და ტრადიციას. ასეთ სამართლიან მოპყრობას ჰქვიადა სხვა-ზედაც საკუთარ სახელმწიფოშიაც.

მეორე კი სწერს, გვემუხატება წარსულ დროთა ამბებზე, ვინა ვართ. რამდენი ვიყავით, როგორ „დავქუცავდით“, სად და რომელ მხარეში გადატყორცილია უკუღმართ დროთა წყალობით ჩვენი ეროვნული სხეულის ნაწილები.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ვინ არის სეიფოლა იოსელიანი, ეს ფერადანული სპარსელ ქართველი? რომელიც გვემუხატება: „ჩონ ვიცოდით რამდენი ვიყავით ქართველები, მაგრამ ეგ საქართველო არ ვიცოდით თუ საითკენ იყო; მზე რომ ამოდოდა იქითკენ, თუ მზე რომ ჩადიოდა“—ვინ არის მის გვერდით?—ზაქარია ჭიჭინაძე, რომელიც ამბობს:

ხელნაწილები

აკაკი ფაღავას დრამატული სტუდია.

ორშაბათს, 4 ივნისს, რუსთაველის თეატრში შესდგა გამოცდა სანიშნო საღამო ფაღავას დრამატულ სტუდიის მოსწავლეთა. საღამოს დაესწრო საგანგებოდ მოწვეული დიდძალი საზოგადოება ხელოვნების ყველა დარგიდან: მწერლები, რეჟისორები, მსახიობნი, მხატვრნი, პრესის წარმომადგენლები, თეატრალური, ესთეტიკური და სხვ. იყვნენ მთავრობის წარმომადგენლებიც, საღამო მოკლე სიტყვით გახსნა თვით ა. ფაღავამ, რომელმაც აუწყა საზოგადოებას, თუ რა პირობებში უხდებოდა

ასეთი არეულობა არღვევს ტაყის აზრსაც და ხანას საერთო წყობილსაც ამისა („ლამისა... ჟამისა... დაბადებაში არის სიტყვა საღამო (დაბ. 18—3), რომელიც საბას განმარტებით ნიშნავს „საღამო მერს“.

აქაც გვეხმარება ინგილოური საღამო, საღამო. — სა ჟაჟი? (საღამო?) — ერ საღამო არ ყოფილა (ერთ საღამო არ ყოფილა). — საით მოვდი? — ჰეი საღამო (არ საიდან).

მაშასადამე, დავსკენით ჩვენ, ტაყის „საიდან საღამოა“ უნდა გვეჩვენებდეს, რომ „ვინმე—მესხი რუსთველი“ ლექსის დაწერის დროს უნდა ყოფილიყო მესხეთის გარე, საქართველოს სხვა ნაწილში.

2. ინგილოური რეალიზმის ფასი შოთას სადაურბობისა თუ ჩამომავლობის აღსადგენად.

ამას წინაშე 3. ინგოროყვამ გამოსთქვა თვისი შეხედულება იმის შესახებ, რომ შოთა უნდა ყოფილიყო ჰერეთიდან, თვით ჰერეთის ერისთავი შოთა კუბრი. სამწუხაროდ, ასეთი თვისი მიხედვით ჯერ არ დაუბეჭდია და ამიტომ არ ვიცით, რით და როგორ ამბავებს თავის აზრს. ჩვენ, როგორც ინგილო, სიხარულით და ერთგვარ სიამაყით მივეგვებებით ასეთ ახალ ცნობას შოთას შესახებ, მაგრამ განგრძობილ კვლევა-ძიებად დაგვახსენა, რომ ვერც აგრედ-წოდებული ინგილოური მასალა სწევრტავს შოთას ჩამომავლობის კითხვას, ვერც ჰერეთის რომელიმე ერისთავი, როგორც ავითი, შეიძლება ყოფილიყო პეტე შოთად.

ჩვენ არ გვახსოვია შოთას ქმნილების მეცნიერული გამოცემა არ დაგვჩინებია თვით მისი დედანიც. რომ გავიგოთ, დღევანდელი ინგილოური-ჰერეთული რეალიზმი მართკ აღვადგინოთ ხასიათისა იყო ძველდაც, თუ საერთო მთელის საქართველოსთვის და, მაშასადამე, შოთასთვისაც, როგორც ყოველ ქართველ მწერლისთვისაც. ინგილოები თუფის მაგიერ ამბობენ „თუ“, „ვეფხისტყაოსანშიც“ ისევეა, „თუ“. მაგრამ ვინ იტყვის, რომ თავდადებულად შოთას დედანში იყო „თუ“ და არა „თუთუ“, რომელიც რომელიმე გადამწერმა, თუნდ იმავე ჰერეთელმა არ აქცია თუად?

ინგილოურსა და რუსთველში ნახმარი ფორმები მიწა, გინა და სხვ. გვხვდება შოთას დროინდელ თხზულებებშიც. მაგ. „ვისრამიანში“. იცის „მინა“ (გვ. 246) „გვინა“ (349). თვით ქართულში დღესამდელ იხმარება გინა კავშირის ანუ-ს მნიშვნელობით, თუმცა მისი პირვანდელი სრული სახე არის იგივე გინდა: „საქართველო გინა (=გინდა) ივერია“.

ამგვარივე საზოგადო თვისებისა ბაღის აღწიშვნები ქართული სიტყვა-რომლის ნაირ-ნაირ-

აი უკვე ხედავთ ჩვენი დაკარგული ძმები მოილტვიან სამშობლოსაკენ, სიხარულით გაულოთ მათ კარი, ეს ჩვენი მოვალეობაა.

განა იქნება ისეთი ორგული საქართველოში რომელიც წინააღმდეგაა ამ კეთილ განძრავებებს? განა არაა საკმარისი სამასი წელიწადი, რომელიც ტანჯვით გაატარა სამშობლოს სახელზე წამებულ სპარსეთში გადასახლებულ ქართველებმა?

მე დამსწრე ვარ ჩვენი დიდი აკაკის დასაფლავებისა თბილისში. ერეგის მოედანზე ესტრადაზე ადის ერთი საშავლო ტანის, ჩაქურაში გამოწყობილი, ყაბაღი თავზე გადაკრული, სრულიად გათვრელებული კოპწია ლამაზი კაცი, რომელმაც მიმართა მეგონის ცხედარს და ზღვა ხალხს შემდეგე სიტყვებით: „ძმებო ქართველებო, ისმინეთ თქვენგან ძალით მოწყვეტილ ძმების ღალატის: ცოტა ჩვენსკენაა შემოანათეთ ეს თქვენი ლამაზი; გვასწავლეთ ქართული წიგნი“ და სხ. ის იყო ქობულეთელი გული ალა კაკაციშვილი.

ამ სიტყვების მთქმელი დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა. მერე ვინ პირისუფლობს, ვინ სტორის მის სიკვდილს?—ზაქარია ჭიჭინაძე.

ბევრის თქმა შეიძლება მაგრამ ამაზე შემდეგ-ახლა პატარა მაგალითს მოვიხსნათ. ყველა იკითხავს საქარა. — მთელი შავი ზღვის ნაპირები გადაჭიმულია მეგრულ მოსახლეობით; სოკრიდან მე-12 ვერსზე, ჩრდილოეთით, ხუთასი კომლი ლეჩხუმში და იმერლები არიან დასახლებულნი. სოფელსაც იმერებს ეძახიან.

მზავს სურათს იძლევა ადღერი, ხოსტა, კრასნაია პოლიანა და სხვა.

თუ ამ ქართველებს არ მივაქცევთ ყურადღებას, დავიწყებთ, რომ ისინი დაკარგვეს ენას, ქართულს კულტურას და ბოლოს ვაი თუ უარესი სურათიც ვიხსოვით...

ერთი ახარებული ჩვეულება გვქარს: ყველა-ფერის მთავრობაზე ვამყარებთ; ეს ერთნაირად სამართლიანია, წამოჭრილი საკითხი მთელი ხალხის საქმეა. ამიტომ აქტიურია ხალხმა უნდა გამოიჩინოს და მთავრობაც მასთან იქნება.

ძუკუ ლოლუა.

მას ამ მძიმე საქმის გაძლია. განაცხადა აგრედმე, რომ ჩვენ ამ ჟამად ხელთა გვაქვს მხოლოდ ნედი მასალა სტუდიელთა სახით, რომელიც უნდა დავამუშაოთ და ამით შევქმნათ ნამდვილი კადრი სტუდიისათვის, რომელიც უფრო მეტი საფუძველზე იქნება დამდგარი მომავალ სამოსწავლო წლიდან, მთავრობის და საზოგადოების დახმარებით. შემდეგ დაიწყო საღამოს პროგრამის შესრულება. სტუდიელთა მიერ იქმნა შესრულებული ნაწევრები: ლილა და სხვა პიესებიდან, წაკითხულ იქმნა (ალექსანდრე ბუნიკიდან და ლექსები. იყო პლასტიური სცენები და მიმოღრამა. აღსანიშნავია სტუდი-

რი გამოთქმა გვიჩვენებს მის სიძველეს. ეს სიტყვა:

ინგ. სასტუდო	გამოსვლა 11—5: სასტუდო
შუშან. (ცხ. 189)	სასტუდო
ამირ. დარ. (187-8)	სასტუდო
მარ. დედა ნუსხა (410)	სასტუდო
ვისარამ. (68)	სასტუდო
ქ. ცხ. (283)	სასტუდო

სიანს სასტუდო ჯერ ისევ შუშანიკის დროით განსაერთო ხმარებაში ყოფილა და ინგილოური ფორმით სასტუდო ალბად ენათესავება მეგრულს (ლუ (თავი).

შოთა—ინგილოური სიტყვათა სიაში აღნიშნული ფორმა, მაგრამ, რახან იგივე ფორმა გვხვდება „ამირანდარშიაც“ (გვ. 163), ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მოსე ხონელის ჟამს იგი ყოფილა საერთო საქართველოსთვის.

ამ მხრივ ფორმალ საინტერესოა სიტყვა პაშტა. მას დღეს საკმაო მნიშვნელობით ხმარობს კლარჯეთი და საინგილო, მაგრამ ძველად ყოფილა საერთო ხმარებაში, ვინაიდან იმავე საკმაო მნიშვნელობით მას ხმარობს არა თუ მარტო შოთა (ხვა-ნა 406), არამედ „ვისრამიანში“ (გვ. 40—პაშტა, საქურტუმი, 278—პაშტა წყალი), ქ. ცხოვრება (2—566): პაშტა ხნობამდის. აბუსერი, ტუელი ამბობს (ქრ. 2—121): დღემან დაგულ პაშტა წაგო.

ინგლისური გზის გაყვანის. გზის გაგნების გინამხერხების მნიშვნელობით ხმარობენ გზის გაგნების. იგივეა შოთაში (გ. 336): „გავაღებ გზა ვერა გზად თავისა“. ხონელიც ამასვე ამბობს (გვ. 100): „გავაღებ გზას ამის საქმისასა... დიდი მინდორი და მუნ გაიღებ გზასა“.

საინგილოში „ლოგინი“ იხმარება ზაღლად სიტყვისა ტახტი. ამავე მნიშვნელობით ხმარობს ლოგინს ათონის 1074 წლის კრებული წმ. ილარიონის (IXI). ცხოვრებაში. ამბობს (გვ. 101): „დაღა (სენაქი) ლოგინი თავისა საგებლითა“. ტახტადვე იხმარება ლოგინი იმერეთ სამეგრელოშიც, ხოლო ახალციხის მხარეს იგივე ლოგინი (ტახტი) იწოდება სალოგინოდ.

ინგილოური სხო სხვას მაგიერ გვხვდება ცნობილ კოინდონის წარწერებშიც. ხოლო გერც (გერც (ახლო) მესხურ დავითის მატანიში. ამისთანა მაგალითები ბევრი აღმოჩნდება და ამიტომ, ვიმეორებთ, ეს მასალა, რომელსაც დღეს ინგილოურში ვიკრებთ, არა კმაზა უკუ-საგდებად თვით პოეტის მოწმობისა, რომ იგი იყო მესხი და საქართველოს არა რომელიმე სხვა მისაღვერს შეეძლო.

ელი ქალი დოლიძე, რომელმაც მოპასონის ინსცენიროვებაში შესარულია გაუთვრელებული ქალის როლი, მას ახასიათებდა უფველი სასცენო უნარი, კარგი ენა, ბუნებრივი განცდა, თავისუფლად თავის დიქტა სცენაზე, შრომისა და მეცადინეობის შემდეგ მისგან კარგი მსახიობის მიღება შეიძლება. კარგი იყო სტუდიელი ქალი ჭიჭინაძე, რომელმაც ოსკარ ჟაღლის „სალომეიდან“ წაიკითხა ოქანანთან საუბარი, მას აქვს მშვენიერი დიქტა, ხმა, განცდა. ბუნებრივობა და ყველაფერი ხელს უწყობს სასცენოდ. ჩვენის აზრით მას ქართულს სცენაზე დიდი მომავალი აქვს. კარგი იყო სტუდიელი ქალი თუთბერიძე, რაუტენდლის ამსრულებელი სცენა ჭიჭინაძე, პაუტკმანის „დაძირული ზარი“—დან. მისი გამოსვლა და თამაში ნამდვილს ზღაპრულს ფეიას მოგვარებდათ. კარგი ხმა, ნაზი განცდა, მშვენიერი გრაციოზული პლასტიკობა-ექსპრესიულობა თავდება მისი რომ ქალი ყველა სასცენო ღირსებით არის დაჯილდოვებული. კარგი იყო რეველიშვილის ქალი რომელმაც წაიკითხა „ელეგია“ პირველი მონოლოგი მანვე მშვენიერად შესარულია სოლომეის უკანასკნელი მონოლოგი იოქანანის მოკვებით თავთან.

ვაყვებიდან კარგები იყვნენ სამივე სტუდიელი, რომელთაც „იულის კესარი“—დან ბრუტისის სიტყვა სასამართლოს წინაშე, წაიკითხეს კარგად. წაიკითხეს ლექსები სტუდიელთა: ხორავა, ი. ჭავჭავაძის „გავსწორდეთ ბედო“. შ. სოსლანა, „მერი“ ტაბიძის, და გომიშვილი განდგეილის ლექსი. აგრედმე იქმნა შესრულებული სტუდიელთაგან ნაწევრები „ანტროპინე“—დან, „იულის კესარი“—დან, „დალანის დეიფალი“—დან, შესარულეს სტუდიელ ქალ-ვაყვებმა აგრედმე პლასტიური სცენები. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდიაში კარგად ყოფილა დაყენებული პლასტიკის საქმე. სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტუდიელთა მიერ შესრულებული პლასტიური სცენები. აღსანიშნავია, „ბრძოლა შვილიშვიტ“, „გამარჯვება“, „დასვენება“, „სა-სოფარკვეთილება“ და სხვა სტუდიელთა ბევრი ლამაზი სურათი ასახეს მოძრაობით კარგი იყო მასიური მიმოღრამის სურათი „გაკვირვება“, „შიში“, „შური“, „მეგობრული შეხვედრა და გამოშვება“, „მისვლა შურის საძიებლად“ და სხვა საერთოდ უნდა აღინიშნოს რომ სტუდიელთა უმეტესობით და მათ შორის არიან უსათუოდ სასცენო უნარით დაჯილდოვებულნი. უპირატესობა ამ შემთხვევაში ქალებს ეკუთვნით.

დიდი მადლობის ღირსი სტუდიის ხელმძღვანელი ა. ფაღავა, რომელმაც ერთობ მძიმე მდგომარეობაში დაიწყო ეს ფრიად სერიოზული და აუცილებლად საჭირო საქმე, და ასე წარმატებით განაგრძობს მას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ

3. მესხეთის-მეგრ საქართველოს დაპყრობა კულტურულად და პოლიტიკურად. აღრიდგანე შეინიშნება მძლავრი კულტურული მესხეთიდან საქართველოს დანარჩენ ნაწილებისკენ და შემდეგ-კი ამას მიჰყავს თვით პოლიტიკური დაპყრობაც იმავე მესხეთის-მეგრ.

მერვე საუკ. პირველ ნახევარს კლარჯეთიდან გადმოსახლდნენ კაცს პიტახში და არილ მეფემ მისცა მათ „წუქეთი (საინგილო) ციხით და კართით“ და იმავე დროს ადარანს-ბრძის მისცა წულთ იმავე მეფემ მეზობლა შაკიხი (=ნუხი) და „დაემაღირნეს (შაკიხიდან) გულგულამდის“. ეს გულგულა ითვლებოდა მიჯნად შორის კახეთისა და ჰერეთის. (ქ. ცხ. 181).

აშოტ კურაპალატი (+826) ფლობდა ტფილის-ბარდავს: მას შეებრძოლა კახეთის ერისთავი გრიგოლ ქსანზე, მაგრამ დამარცხდა და აშოტმა დაიპყრა კლარჯეთიდან ქსანამდე (ქ. ცხ. 187) 915 წელს კახთა კიროვს კვირიკე მოიწვია აფხაზთა მეფე კონსტანტინე წინააღმდეგ ჰერეთის ერისთავ ადარანსის. ჩაივდნენ ვეჯინს დაიხსესეს: ადარანსემ მეფეს დაუთმო არიში და გავაზნი. ხოლო კვირიკეს ბოქორმა. იმავე საუკუნოში უფლის ციხეში გაეგებებულ კონსტანტინეს შევლოდნენ კლარჯეთიდან ტბელად და მის წინააღმდეგ გიორგიმ მოიყვანა ტაოლენი მეფენი (იქვე 201).

იმავე ხანებში აფხაზეთ-მესხეთიდან მოდენილ სამეფო უფლებს გიორგი მეფის მოთავეობით სასტრუქი ბრძოლა ჰქონდა კახეთის დაჩემებისთვის. მაშინ კახეთს ქარ-კოზობა კვირიკე მე-2 (+976 წ.). მისი დასახლდა ტალოს ვერ გაეცა კვირიკე, ვერც თვის ძმა შურად, რომელმაც გადასცა გიორგის ციხე ჟუჯარმა. არ ნებდებოდნენ ციხეში კახეთისა ნახკევიანი, ბოქორმა და ლოზობანთა (აეგო ფაღალს). ამ ლოზობანთისა გამარჯდა იოანე არშისძე (=მარ. დედნუსხით (გვ. 233) არისისძე, ხოლო ციხე მარანში (მარანში იქვე) მისი ძმა ხახვა არისისძე. ეს შეიპყრეს და წარუგანეს ჯიქეთს. ამავე ველარ გაუქიდა თვით ფაღალსძე კვირიკე. ამავე ველარ გაუქიდა მტრის თავდასხმას, დანებდა და მთელი კახეთი დაულოცა. გიორგიმ განუტევა კვირიკე და უკუ-იქცა. ამით ისარგებლა კვირიკემ, იერიშით აიღო არისისძის ონეს ციხე ლოწიანთა და დაეპატრონა კახეთს (ქ. ცხ. 201—23).

ტაოს მეფის დავით კურაპალატის შემწეობით ბაგრატ III გამაგრდა ამერეთის ტახტზე და თან გააერთიანა აფხაზეთ-საქართველო.

ბაგრატ IV-ის ჟამს ქალეთს პატრონობდა მესხელი აზნაური ისაკ ტოლოშელისძე და მან ერწულთა დახმარებით შეიპყრა საქართველოს მძიმეარე მტერი ფაღალს ამირთ ამირა (ქ. ცხ. 202).

შემდეგში, როდესაც სტუდია უფრო მეტი ნიადაგზე იქნება დამდგარი, სტუდიის განვითარებას მიიყრიან ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, რათა სპეციალურად გაიარონ სასცენო სწავლება ქართულ თეატრს მომავალში გაუზრდნენ ნიჭიერი და სკოლა გაეღო მსახიობი, რაიც ასე სჭირია ქართულს თეატრს აღორძინებისათვის ეროვნულ საქმის დასაგვირგვინებლად საჭიროა ნიჭიერი დახმარება მთავრობის და მოქალაქეთა მხრიდან.

ა. ფაღავა საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა. ენერგიული შრომისთვის მას ჩვენც ვუსურვებთ მომავალში გამარჯვებას დაწყებულს საქმეში.

3. 8.

თეატრების კრიზისი ინგლისში. ამჟამათ ინგლისის თეატრები მეტად მწვავე კრიზისს განიცდიან. უმუშევრობა მსახიობებს შორის თანდათან იზრდება და ერთერთი საშვალეობაა მასთან საბრძოლველად, არის უცხოეთის დასვების არ დაშვება ინგლისში. არა მარტო თეატრების დირექტორები არიან წინააღმდეგნი უცხოეთის გასტროლებისა, არამედ ინგლისელი აქტიორებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ უცხოელი გასტროლიორები წართმევენ მათ „უკანასკნელ ლუკმა პურს“. უცხოეთის დასვების ინგლისშივე არ დაშვების საკითხი განსაკუთრებით წამოჭრილი არის ინგლისურ პრესაში ახლა, რადგან, როგორც ხმები არის, საზაფხულოდ განზრახული არის მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლები (ამერიკიდან გამობრუნებისას). მსახიობების პროფესიონალურ კავშირის ოფიციალურ ორგანოში უკვე გამოქვეყნდა მთელი რიგი საპროტესტო წერილებისა, რომლებიც ეკუთვნის სასცენო ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს. პროფესიონალურმა კავშირმა ოფიციალურათ მხარი დაუჭირა ამ პროტესტს და მთავრობის მოთხოვნისგან მიმართა, რათა აუქრძალოს რუს მსახიობებს ინგლისში შესვლა. წინააღმდეგ შემთხვევაში პროფესიონალური კავშირის ბოიკოტით ემუქრება, რომელიც გატარებული იქნება შემოსუკეთა სცენის მომუშავეთა და თეატრალურ მოსამსახურეთა კავშირების მიერ; ასე რომ, რუს მსახიობებს ფაქტობრივ შესაძლებლობაც არ ექნებათ ინგლისის სცენაზე თამაშისა. ინგლისური გაზეთების მიხედვით, აღმინისტრაციული ხელისუფლება მხარს უჭერს ინგლისელ აქტიორების მოთხოვნებს და მოსკოვის თეატრის მსახიობებს ინგლისში შესვლის ნებართვა არ მიეცემა.

გვანი ფოსტა

იასონ ჯავახიშვილს. თქვენს სახელზე პოლონეთიდან მოსულია თქვენი ძმის წერილი. შეიარეთ განოვის ქ. № 10.

1073 წელს იოანე ლიპარიტისძემ (ორბელიანმა) მიიბარა კახნი და დადგა ქსანზე. მეათე გიორგიმ იგი შემოარია: მას მიუბოძა სამშვილდე, ხოლო მის ძეს ლიპარიტს „მისცა ლოწიანის ნაცვლად რუსთავის, რომელ მიეცა კახთა“ (ქ. ცხ. 235).

შემდეგ ხომ (1105 წ.) დავით აღმაშენებელმა შეიერთა მთელი კახეთ-ჰერეთი.

ამის შემდეგ მემატიანე კიდევ იხსენიებს ნატამალებს ჰერეთის იმ ერისთავებისა, რომელნიც არილ მეფის დროს (VIII ს.) მოვიდნენ კლარჯეთიდან და დასხდნენ გიშს (მაკისს) დავითი რომ მივიდა გიშს, დაიპყრა იქაურ ერისთავის გრილისძენი ასათ და შოთა (ქ. ცხ. 245, მარ. დედ. 6. 299). გიორგი მე-3-ის ჟამს ჰერეთის ერისთავად იყო ვარდან კოლონკელისძე (ქ. ცხ. 269) და გიორგი ასათისძე (გვ. 273), ხოლო თამარის ჟამს კახეთის ერისთავად ბაქურ ძეგანისძე და ჰერეთისა ასათ გრიგოლისძე. აქ მემატიანე შენიშნავს (გვ. 283). „ასათმა მისცა მძლავრებით და მორცხით საღირს კოლონკელისძესა და მცირედ-ჟამ ქონებისა შინა იაჯა არიანის (მარ. დედ. 6. 411: არიანის) აღდილასა დაჯდომას სასთაულოთა და (თამარმა) ხელთ უღდა შვილსა მისსა გრიგოლს ჰერეთის ერისთავა—ბა“. 1191 წელს „კახეთის თავნი“ იყვნენ თორდაისძენი და გრიგოლისძენი, ჰიბერისძენი და მახატელისძენი (ქ. 297, 300), მონგოლების დროს ჰერეთის ერისთავად შოთა-კუპრი, რომელსა ასე ეწოდებოდა სიზავისათვის (ქ. ცხ. 362).

ასრე დასრულდა მესხეთის-მეგრ დაპყრობა ამერეთისა. მეორეს მხრივ იმავე მესხეთის ტალა შეიჭრა და მიეყინა სამეგრელოს მიწა-წყალს და მიაწერა გურიამ, ხოლო წარდგენილი ტალა უკან (მესხეთში) დაშოა ისეთი გეოგრაფიული ტერიტორია ვით ჩაიშო (=ციხი), დედში, ზანავი და მრ. სხ. ასეთი საერთო სახელები მესხეთისთვის და სამეგრელოსთვის, ან-და ისეთი საერთო სახელი, ვით აწყური, არტანი და მათგანი წოდებანი იმავე სამცხისა და კახეთისთვის, ან-და ისეთი საერთო გვარები, ვით დიასამიძე, თავთაქი-შვილი, გამრეკელი, ჯაყელი და უფვალი სხვა, გადმონერგო მესხეთიდან ამერეთ-იმერეთს, გურიიდან ლხანმდე, ტაშისკარიდან წუქეთი გიშამდე (საინგილომდე).

ამ პოლიტიკურ დენის დროს მესხეთის ტალა, შეუძლებელი იყო, თვისი ბრწყინვალე კულტურის კვლე არ დაეწინა არა თუ ერის წესსა და ჩვეულებზე, არამედ თვით ენაზედაც, მეტადრე სამწერლობზე, რომელიც ამერეთ-იმერეთს მთლიანად გადმოიწერა დალოცვილ მესხეთიდან.

(შემდეგი იქნება)

მ. ჯანაშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია. გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.